ოქმი:**ო02. 3724206001**

თარიღი:**24/07/2024**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 23 ივლისი

ქ.ოზურგეთი

13.30-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბ.თოიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბ.თოიძე

კომისიის თავმჯდომარემ, ბ.თოიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტები. აღნიშნა, რომ პირველი პროექტით გათვალისწინებულია სოფელ ნაგომრის წყალსადენის სისტემის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 20 მილიონ ლარს და გათვლილია 403 აბონენტზე, მერე პროექტით მოხდება სოფლების: მერია, ხვარბეთი, კონჭკათი, თხინვალი, ნაღობილევი, მელექედური წყალსადენების სისტემის მშენებლობა -ღირებულებით 29 მილიონ ლარამდე, სისტემა მოემსახურება 4500 აბონენტს. კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა-როდის მოხდება სოფელ შემოქმედის წყალსადენის მშენებლობა და აქვთ თუ არა ინფორმაცია მდინარე ბჟუჟზე კაშხლის მშენებლობის თაობაზე? განუმარტეს, რომ შემოქმედის წყალსადენის მშენებლობა გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლებში, რაც შეეხება მდინარე ბჟუჟის ხეობაში კაშხლის მშენებლობას-ინფორმაცია არ ააქვთ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტების საკრებულოს სხდომაზე წრდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის

მიზნით.

გადაწყვიტეს:

საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი